

## „ოქტო რიველი“ წალე უნათასი იქნება



ნოემბრის დასაწყისიდან აჭარაში „ოქტო-  
რი რიველი“ იწყება. წელს, როგორც ამბო-  
ბენ, გაცილებით დიდი მოსავალი იქნება, ვიდრე  
გასულ წელს იყო. შესაბამისად, ციტრუსის  
გადამუშავებელ-შემფუტავი სანარმოებიც  
სრულ მზადყოფნაში არიან და წინა წელთან შე-  
დარებით ორჯერ მეტი პროდუქციის მიღებას  
ვარაუდობენ. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირე-  
ბით, აჭარის სოფლის მეურნეობის დარგობრივი  
განვითარების დეპარტამენტის უფროსს, ბატონ  
ჯამბულ აგულაძეს გავესაუბრეთ.

— ბატონი ჯამბულ, როგორ ხვდებით  
ციტრუსის სეზონს და რა რაოდენობით  
მოსავალს ელოდებით წელს?

— ციტრუსის სეზონს, წელს კიდევ უფრო მომზადებულები ვხვდებით. გა-  
სულ წელს შედარებით ნაკლები მოსავ-  
ლიანობა-მეწლეურობა განაპირობა, რაც  
გულისხმობს ერთ წელს კარგ მოსა-  
ვალს, მეორე წელს — ნაკლებს. წელს  
ვვარაუდობთ, რომ ციტრუსის მოსავა-  
ლი 104 000 ტონა იქნება — ეს რიცხვი  
სპეციალური დათვლის მეთოდით იქნა  
დადგენილი. ამის გამო, ჩვენ მივმართოთ  
მუნიციპალიტეტებს, საინფორმაციო  
საკონსულტაციო განყოფილებებსა და  
საბოლოო საპროგნოზო მაჩვენებელიც  
მივიღეთ. საერთოდ, დიდი მნიშვნელობა  
ენიჭება მოსავლის საპროგნოზო მაჩვენ-  
ებელების დადგენას, ის ზუსტად უნდა  
იყოს მიახლოებული რეალურ ციფრთან.  
ამ პროცესში ჩართულია, არა მხოლოდ,  
სამინისტრო, არამედ ბიზნესმენები, გადამზი-  
დავები, ექსპორტიორები და ასე შემდეგ. აღსან-  
იშნავია ისიც, რომ ამერიკის სოფლის მეურნეო-  
ბის სამინისტროს მხარდაჭერით, წელს დაიწყო  
სამწლიანი პროგრამა, რომელიც საპროგნოზო  
მაჩვენებელების ზუსტ განსაზღვრას ემსახურე-  
ბა. თუმცა, მიმდინარე წელს გვიან ჩავებით ამ  
პროექტში და საპროგნოზო მაჩვენებელი ჩვენი  
ძალისხმევით იქნა დადგენილი.

გამრძელება გვ-2 გვერდზე

## ხალის რაიონში რძის გადამმარცალი ახალი საწარმო გაიხსნა



რძის პროდუქციის წარმოება, ჯერ  
კიდევ უხსოვარი ღროიდან დაიწყება ადა-  
მიანება, მაშინ, როდესაც მოიშინაურეს  
ცხვველები და მათ მიერ მოცემული პრო-  
დუქტი საკვებად გამოიყენეს. ამ მხრივ გა-  
მონაცლისი არც საქართველოა, აქ ძველ-  
თაგან მისდევენ მესაქონლეობას. ქართულ  
სამზარეულოშიც მრავლად მოიძებნება  
კერძები, რომლებიც რძისგან მზადდება.  
მესაქონლეობის განვითარებისთვის  
და რძის წარმის უდანაკარგო და მეტი

მოცულობის რეალიზაციისათვის მაღალმ-  
თიან აჭარაში, კერძოდ ხულოს რაიონის  
სოფელ დიოკინისში, რძის გადამუშავებე-  
ლი საწარმო გაიხსნა. თანამედროვე ტე-  
ქნოლოგიებით აღჭურვილი ნატურალური  
პროდუქციის კომპანია „ცეზარი“, წლებია  
წალკის რაიონში მოღვაწეობს. მისმა  
მფლობელებმა, დაახლოებით ერთი თვეა,  
სოფელ დიოკინისში კომპანიის შვილობილი  
საწარმო გახსნეს.

გამრძელება გვ-3 გვერდზე

### „კავკასიონი ყველის ფასტივალი 2015“ ნარჩენის გადამარცალი

მსოფლიოში 2 000-მდე სახეობის ყველი  
ინარმოება. თითოეულ მათგანს განსხვა-  
ვებული საგემოვნო თვისებები აქვთ. ზო-  
გადად, ადამიანმა რძის ჩაკვეთა და მის-  
გა ყველის ამოყვანა დაახლოებით 7 000  
წლის წინ ისნავლა. რძის ჩაკვეთის შედე-  
გად მიღებული, დანურული, გამშრალი  
მასა არის ყველი, რომელიც ერთ-ერთი  
ყველაზე გერიოელი და სასარგებლო საკ-  
ვები პროდუქტია. საქართველო ამ თვალ-  
საზრისით, მსოფლიოს არც ერთ ყველის  
მნარმოებელ ქვეყანას არ ჩამოუვარდება,  
ვინაიდან ჩვენთან მოიპოვება ისეთი ნაწარ-  
მი, როგორიცაა: სულგუნი, დამბალი ხაჭო,  
დანული, გუდის ყველი და ასე შემდეგ.

3

### სასოფლო-სამუშაოების ტარიების სარვისული მომსახურების აუცილებლობა აზარაში

აჭარაში სატრაქტორო პარკი ყოველწლიუ-  
რად იზრდება და ვითარდება. ძველი საბჭოუ-  
რი ტრაქტორების ადგილს თანდათანობით  
იკავებს ახალი, ტრაქტორების მნარმოებელი  
მსოფლიოს მოწინავე კომპანიების პროდუქ-  
ცია. უცხოური სასოფლო-სამუშაოების ტექნი-  
კა, ყოფილ საბჭოთა კავშირში წარმოებული  
ტექნიკისაგან განსხვავებით, გამოირჩევა  
მნიშვნელოვანი უპირატესობებით: კომფორ-  
ტულობით, დახვეწილი დიზაინით, მაღალი  
საიმედოობითა და მნარმოებლურობით. სამ-  
თო პირობები, რელიეფის დახრილობა და  
ტალღოვანობა, ნიშანცვლადი დინამიკური  
დატვირთვები, მუშა გარემოში მყოფი აბრა-  
ზიული ნაწილაკები, მაღალი ნესტიანობა,  
მზის რადიაცია და სხვა. აუარესებს მანქა-  
ნების მუშაუნარიანობას და ამიტომ საჭიროა  
გამოკვლეული იქნეს მათი საიმედოობის ერ-  
თეული და კომპლექსური მაჩვენებლები,  
რათა დაისახოს კონკრეტული ტექნოლოგიუ-  
რი და ორგანიზაციული ღონისძიებანი ტექნი-  
კის ეფექტურობის გასაზრდელად. აღნიშნულ  
საკითხთან დაკავშირებით, ა(ა)ც „აგროსერვის  
ცენტრთან“ ერთად მუშაობს ბათუმის სახელ-  
მწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ბატონი  
რომან გარგალითაძე, რომელმაც ვრცელი  
კომენტარი გააკეთა:

4

### „აგროსერვის ცენტრში“ და ისრული საულის მომსახურების ფარგლენის ტრანსფერის გადამარცალით

„აგროსერვის ცენტრში“ დასრულდა სამ-  
დლიანი ტრენინგი, რომელიც მესათბურეო-  
ბით დაინტერესებულ ცერმერებს, კოოპერ-  
ატივების წევრებსა და სპეციალისტებს ჩაუ-  
ტარდათ. ტრენინგს უძლვებოდნენ ისრაელი-  
დან მოწვეული პროფესიონალი ტრენერები.  
სოფლის მეურნეობის ექსპერტებმა — გილად  
მარეკმა და რივერ ოფენბახმა მონაწილეებს  
სათბურებში მარწყვისა და ბულგარული წი-  
ნაკის მოვლა-მოყვანის, ასევე, მავნებლებთან  
და დაავადებებთან ბრძოლის ღონისძიების  
შესახებ თავიანთი გამოცდილება და ცოდნა  
გაუზიარეს.

4

# “ოქროს რთვალი” გელა უკათაბი იანგი

## დასაცული პირველ გვერდზე

- ციტრუსის მიმღებ-გადამშუავებელი საწარმოები მზად არიან პროდუქციის მისაღებად?

- აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანამშრომლებმა ჩაატარეს მონიტორინგი იმის დასადგენად, თუ რამდენად იყვნენ მზად ციტრუსის მისაღებად მიმღებ-გადამშუავებელი და მიმღებ-შემფუთავი საწარმოები. მათ უშეუალოდ დაათვალიერეს და გამოიკვლიეს თითოეული საწარმო, დაწყებული სეზონის სამზადისით და დამთავრებული ინფრასტრუქტურით. მაგალითად, სოფელ ქაქუთში სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივ „ქაქუთს“ შარშან მიღებული აქვს 100 ტონა ციტრუსი, ნელს კი გეგმავს 400-500 ტონამდე მიღებას. გასულ ნელს იყო გარემოება, რომლის გამოც თითქოს უკმაყოფილოები იყვნენ ფერმერები, მაგრამ ეს სიმართლეს არ შეესაბამება, მათ არ შექმნიათ რამე დამაბრკოლებელი გარემოება მან-დარინის ჩაბარებასთან დაკავშირებით, უბრალოდ, თავიდან რიგები იყო ერთ-ერთ საწარმოსთან, რაც მალევე აღმოითხვრა. შარშანდელმა სეზონმა მშვიდ ვითარებამი ჩაიარა. ნელს ფერმერს პრობლემა არ შეექმნება ციტრუსის ჩაბარების თვალსაზრისით, რადგან ყველა საწარმო მზადაა პროდუქციის მისაღებად. ჩვენი მონაცემებით, რომელიც მონიტორინგმა დაადგინა, თითოეულ საწარმოს 15 000 ტონა მანდარინის მიღება შეუძლია, განურჩევლად ხარისხისა.

— ანუ, რეალიზაციის პრობლება  
არ შეიძმნება?

- ვფიქრობთ, რომ არა. რეალიზაციის პრობლემას გვიქმნის ჩვენი პროდუქციის სასაქონლო სახე. ერთია მანდარინის მოვლა-მოყვანა და, მეორე - დასაწყობების პირობებში მისი შეფუთვა და შენახვა. ნაყოფი არ უნდა დაზიანდეს, ნინააღმდეგ შემთხვევაში მისი რეალიზაცია რთული იქნება. გასულ წელს საქართველოს ისტორიაში იყო პირველი შემთხვევა, როცა ჩვენი ციტრუსი უცხოეთში გავიდა, არა მხოლოდ, გადასამუშავებელ სანარმოებში, არამედ, სუპერმარკეტებშიც განსაკუთრებული შეფუთვით, რომელსაც „საქართველო“ ეწერა. ეს ფაქტი აღსანიშნავია იმიტომ, რომ უკვე შესამჩნევია მანდარინის ხარისხი. ბაზარზე უმთავრესია საქონლის კონკურენტუნარიანობა - თუ ვიზუალურად კარგია პროდუქცია, მეტია მისი რეალიზაციის შანსი. ამ საკითხთან დაკავშირებით შარშან უცხოეთის მხრიდან გარკვეული შეზღუდვები დაწესდა, მაგალითად, რუსეთმა თავისი სტადარტები დაამკვიდრა: ისინი, არა მხოლოდ კარგ მანდარინს ითხოვდნენ, არამედ, ყუთის სისქესაც აქცევდნენ ყურადღებას. მსგავსი სტანდარტები წელსაც იქნება და სწორედ ამიტომ ჩამოყალიბდა მიმღებ-შემფუთავი სანარმოები. ალნიშნულ ინფორმაციებს უცხოეთის ბაზართან დაკავშირებით თავად სანარმოები ფლობენ და იქ მისული ფერმერები მაქსიმა-



„იმისათვის, რომ ციტრუსი გავიდეს უცხოეთში  
უნდა აკმაყოფილებდეს ბაზრის მოთხოვნებს,  
არ უნდა იყოს დაბალი ხარისხის.”

ლურ ინფორმაციას მიიღებენ. წელს  
იმუშავებს, როგორც გადამმუშავე-  
ბელი, ასევე მიმღემ-შემფუთავი  
28 სანარმო. კიდევ განვმეორდები  
და ვიტყვი, რომ თითოეულ მათ-  
განს, გასულ წელთან შედარებით,  
ციტრუსის ორჯერ მეტი რაოდე-  
ნობის მიღების სურვილი და შესა-  
ძლებლობა აქვს.

— სუბსიდირებასთან დაკავშირებით რა ინფორმაციას ფლობთ?

– სუბსიდირება იქნება ისეთივე, როგორც წინა წელს იყო. შარ-შან მუშაობდა არასტანდარტული ციტრუსის მიმღები სამი გადამ-მუშავებელი სანარმო. იყო სუბსი-დირება თანადაფინანსებით – 10 თეთრს იხდიდა სანარმო, 10-ს კი ბიუჯეტი აფინანსებდა. მთლიანო-ბაში გამოყოფილი იყო მიღიონი ლარი. საბოლოო ჯამში მიღებულ და გადამუშავებულ იქნა 11 000 ტონა არასტანდარტული მანდა-რინის ნაყოფი. აქვე აღვნიშნავ განბაჟების საკითხსაც – ჯერ ეს არ არის დადგენილი, თუმცა და-მუშავების პროცესშია. ამ საკითხს, ისევე, როგორც სუბსიდირებას, წყვეტს სახელმწიფო და მხოლოდ ჩვენს სამინისტროზე არ არის დამოკიდებული. თუმცა, როგორც კი ამის შესახებ ინფორმაციას მი-კიღებთ, მაშინვე გავასაჯაროებთ.

- ექსპორტის თვალსაზრისით  
რაიმე სიახლე ხომ არ იგეგმება?  
ძირითადად რომელ ქვეყნებში გავა  
ჩვენი (კიბრუსი?

— გასულ წელს ჩვენი ციტრუ-  
სი ყველაზე დიდი რაოდენობით  
რუსეთში გავიდა და ალბათ, წელ-  
საც ასე იქნება. თუმცა, ამავდროუ-  
ლად, ვთანამშრომლობთ უკრაინ-  
ასთან, აზერბაიჯანთან, ბელორუ-  
სიასთან და სომხეთთან. რაც შეეხ-  
ება სიახლეებს, წელს აზის მიმარ-  
თულებით ვფიქრობთ ექსპორტის  
გაზრდას და ამაში ხელს შევი-  
წყობს ფოთი-ბაქოს სარკინიგზო  
ხაზი, რომელიც უკვე მოქმედია.  
ამ თემაზე გავესაუბრეთ საქართ-  
ველოს რკინიგზის მონიტორინგის  
ხელმძღვანელობას, რომლებმაც

მზადყოფნა გამოთქვეს ტვირთების  
ტრანსპორტირებასთან დაკავ-  
შირებით. აღსანიშნავია ისიც, რომ  
გადაზიდვის დროს პროდუქცია  
მაქსიმალურად დაცული იქნება.  
ქვეყნიდან პროდუქციის გატანის  
პრობლემა არ შეიქმნება, მაგრამ  
დაბალხარისხიანი პროდუქცია ვერ  
გაიყიდება და ამაში სახელმწიფო  
არ იქნება დამნაშავე. იმისათვის,  
რომ ციფრუსის ნაყოფი გავიდეს  
უცხოეთში, უნდა აკმაყოფილებ-  
დეს ბაზრის მოთხოვნებს, არ უნდა  
იყოს დაბალი ხარისხის.

- როგორია მოთხოვნა ჩვენს  
ციტრუსზე და რატომ ვერ ვახერხ-  
ებთ ვეროპის ბაზარზე შესვლას?

— ევროპის ბაზარზე შეღწევა  
ეტაპობრივ პროცესებთანაა დაკავ-  
შირებული. მიუხედავად იმისა, რომ  
ევროკავშირთან ურთიერთობები  
დაახლოებულია, ბევრი ნიუანსია  
კიდევ მოსაგვარებელი ჩვენი მხრი-  
დან, ციფრუსის მოყვანით დაწყებუ-  
ლი, მისი შენახვითა და შეფუთვით  
დამთავრებული. წელს ნამდვილად  
ვერ შევძლებთ ევროპის ბაზარზე  
შესვლას, თუმცა, უნდა აღინიშნოს,  
რომ ქობულეთის გადამზუშავებელი  
სანარმოთი იაპონია იყო დაინტერ-  
ესებული და სურდათ იქ წარმოერ-  
ბული პროდუქციის შეძენა, მაგრამ  
თავად სანარმომ შეიკავა თავი,

აოდგააბ დიდი რაოდებობით პრო-დუქციას ითხოვდნენ. იაპონიის ბაზარი ნამდვილად არ ჩამოუვარდება ევროკავშირისას. თავად ბაზარზე შეღწევის პროცესები ძევვრ დეტალ-თანაა დაკავშირებული: იქაურ ბაზარზე დამკაიდრებული პროდუქტია უნდა ჩაანაცვლონ ჩვენით, რაც მარტივი ნამდვილად არ იქნება. სადაც იცნობენ ჩვენს პროდუქციას, მოთხოვნა მაღალია. ამბობენ, რომ საგემოვნო თვისებებითაც ერთ-ერთი გამორჩეულია. ჩვენთან ძირითადად საგვიანო ჯიშის მანდარინია გაშენებული, უცხოეთში არის ჯიშები, რომლებიც მწიფობის პროცესს გაცილებით ადრე იწყებენ, შესაბამისად, უცხოურ ბაზარზე მათ ციკლს მოგვიანებით ვუერთდებით.

ჩვენ და ბუნებრივია, ვერ ვანაცვლებთ. თუმცა, ამაზეც დავიწყეთ ზრუნვა და ვცდილობთ სააღრეო ჯაშების გავრცელებას, რომელსაც ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“ ახორციელებს.

— შიდა ბაზარზე რა ვითარება?

— რაოდენობრივი თვალსაზრისით, შიდა ბაზარზე მოთხოვნა ნაკლებია, მაგრამ სტაბილური. რაც წინა წლებში იყო, ის იქნება წელსაც უმნიშვნელო ცვლილებით. ყველა სახის მანდარინი გადის — როგორც „სუპერი“, ასევე, წვრილი ნაყოფიც. შიდა ბაზრის ფასს ექსპორტი განაპირობებს.

- ინფლაციიდან გამომდინარე,  
დაახლოებით რა იქნება მანდარინის  
საჟყისი ფასი?

– ნინასწარ ეს რთული სათქმე-ლია, რადგან ყველაფერი საბაზო პრინციპებზეა დამყარებული. ამ-იტომ, ვერ მივცემ თავს უფლებას ნინასწარ რაიმე ვთქვა. შარშან 50-70 თეთრი ლირდა, ეგრეთ წოდებული „სუპერი“ კი, ლარი და ლარ-ნახევარიც იყო. ინფლაციიდან გამომდინარე, რთულია პროგნოზირება. თუმცა, მაღალი მოსაგალი არ ნიშნავს იმას, რომ პროდუქცია გაიაფდება.

მართალია, ბატონი ჯამპული  
საწარმოებში არსებულ ვითარება-  
ზე გვესაუბრა, მაგრამ ფერმერები-  
სთვის უფრო ზუსტი ინფორმაციის  
მისაწოდებლად ჩვენ დავუკავშირ-  
დით ქობულეთის მუნიციპალიტე-  
ტის სოფელ ახალსოფელში მდებარე  
ციტრუსების დამხარისხებელ-შემ-  
ფუთავ და ტარის მნარმოებელ  
საწარმოს - შპს TCF GEORGIA-ს  
დირექტორს, ოსმან ფეხბურჯემას  
(გოგოზიძეს), რომელმაც განაცხადა:

„ფერმერებმა ნაყოფის მოკრეფი-  
დან 36 დღის განმავლობაში უნდა  
ჩაგვაბარონ. რაც უფრო ხარისხიან  
პროდუქციას მოიტანენ, მათთვის  
იქნება უკეთესი. ფერმერი უნდა  
მოვიდეს ჩვენთან და გვითხრას,  
რომ მაგალითად, აქვს 10 ტონა  
მანდარინი, რომელშიც არის რო-  
გორც „სუპერი“, ისევე სტანდარ-  
ტული, ანუ, უნდა გაგვაცნოს მისი  
პროდუქციის ხარისხი, შემდეგ კი  
ჩვენ თავად დავახარისხებთ მას.  
მათ არ შევუძნით არც გადახდის  
და არც რიგის პრობლემას. ჩვენ  
პროდუქტი გაგვაქვს რუსეთში და  
სხვა უცხოურ ქვეყნებში, ამიტომ,  
ხარისხი უნდა გვქონდეს კარგი.  
ვიღებთ ყველანაირ მანდარინს,  
მთავარია, ფერმერი ჩაეტიოს მისი  
დაკრეფიდან განსაზღვრულ ვადებ-  
ში. ჩვენ ასევე, ვამზადებთ წვენებს.  
უკვე, შევქმნით ახალი შვილობი-  
ლი ფირმა, რომელიც მოემსახ-  
ურება როგორც ექსპორტს, ასევე  
დაამზადებს წვენსაც, შესაბამისად  
ნებისმიერი ხარისხის მანდარინს  
მივიღებთ. რაც შეეხება ფასებს,  
„სუპერს“ „სუპერის“ ფასად ვიყიდ-  
ით, სტანდარტულს – სტანდარტუ-  
ლის; საერთო ჯამში, ბაზარზე არ-  
სებული ფასი გვექნება. ფერმერმა  
უნდა იცოდეს, რომ ჩვენი ქარხანა  
მათვისაა შექმნილი. ჩვენ ფერ-  
მერზე ვართ დამოკიდებული და  
ფერმერი – ჩვენზე, ეს კულტურა  
უნდა დაინერგოს საქართველოში.“

# ხულოს რაიონში რძის გაღამიშვაზეალი ახალი საწარმო გაიხსნა

დასაცისი აირველ გვერდზე

ხულოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის 90% მესაქონლეობას მისდევს, შესაბამისად ამ საწარმომ, მათ, რძის რეალიზაციის პრობლემა მოუხსნა. წინასწარი გათვლებით ვარაუდობენ, რომ საწარმო დღეში 20-25 ტონა რძეს გადამუშავებს. ამ ეტაპისთვის კი, დღის განმავლობაში 10 ტონამდე რძის გადამუშავებას ახდენს. გარდა რძისა, უახლოეს მომავალში საწარმოში გეგმავენ არაუნის ჩამოსხმასა და სხვადასხვა სახეობის ყველის დამზადებას, მათ შორის დაწყული სულგუნის ნაწარმოებასაც. ამჯერად, ქარხანაში დამზადებული პროდუქცია ძირითადად ბათუმის ბაზარზე გააქვთ, თუმცა მისით, უკვე, არაერთი რეგიონია დაინტერესებული. ქარხნის ხელმლვანელობა ახალი საწარმოს ამოქმედებით, რეგიონში მეცხოველეობის შემდგომ განვითარებას პროგნოზირებს.

**ნაცული პოლიტიკა (ნატურალური პროდუქტების კომპანია „ცეზარის“, ერთ-ერთი დამფუძნებელი):** ხულოს რაიონი, ისეთი რეგიონია, რომ მოსახლეობის უმეტესობა უმუშევარია და სტაბილური შემოსავალი არ აქვთ. საქართველოს მასშტაბით, არაერთ რეგიონში მოქმედებს რძის გადამამუშავებელი საწარმო, მათ შორისაა ჩვენი ნაცულური პრო-



დუქციის კომპანია „ცეზარი“. ჩემს შვილს, არკადის, იდეა გაუჩნდა დავხმარებოდით ხულოს რაიონის მოსახლეობას და შეილობილი კომპანია გაგვეხსნა. ამ რაიონში ყველა ოჯახს ჰყავს საქონელი, აქვთ რძე და რძის ნაწარმი. ფერმერები წვალობდნენ საკუთარი პროდუქციის რეალიზაციისთვის, ჩადიოდნენ ბათუმში და იქ უწევდათ ყველისა და რძის გაყიდვა. ახლა, უკვე, მათ საშუალება აქვთ საკუთარი სახლიდან ჩააბარონ რძე და მასში იგივე რაოდენობით თანხა აიღონ, რასაც ბათუმის ბაზარზე აიღებდნენ. ხულოს რაიონის ფარგლებში, ვემსახურებით ყველა ფერმერს, ვაკითხავთ სახლებში და მათი ოჯახებიდან, ადგილზე ვიღებთ იმ რაოდენობის რძეს, რაც გააჩნიათ. იმისათვის, რომ ჩვენს საწარმოში რძე ჩააბარონ გარკვეულ კრი-

ტერიუმებს უნდა აქმაყოფილებდეთ: უპირველეს ყოვლისა, თავად პირუტყვი უნდა იყოს ჯანმრთელი, რათა ჯანსაღი, სუფთა და უვნებელი პროდუქცია ვაწარმოოთ. პირუტყვის ჯანმრთელობის მდგომარეობას თავად შევამოწმებთ. ფერმერი ვიდრე ჩვენამდე მოიტანს რძეს, ცხიმი არ უნდა მოხადოს და წყლიანი არ უნდა იყოს, რადგან მსგავს პროდუქტს არალეგალურად ვთვლით და უარს ვამბობთ ჩაბარებაზე. ხულოს რაიონში უკვე ჩავატარეთ ტრენინგები ამ საკითხთან დაკავშირებით. მოსახლეობას ვრცელი ინფორმაცია მივაწოდეთ, თუ რა ვალდებულებები გააჩნიათ პროდუქტის მოწოდებამდე. ჩვენთან თანამშრომლობის არც ერთ მსურველს, არ დავწყვეტო გულს, უბრალოდ, აუცილებელია ორივე მხარე ერთმანეთის მოთხოვ-

ნილებებს ვაკმაყოფილებდეთ, რასაც პირადად გასაუბრების შედეგად გავარევეთ. საწარმო დაახლოებით ერთი თვეა, რაც გაიხსნა. ჯერ სასწავლო პროცესი ვართ, დავასაქმეთ ადგილობრივები. სასიხარულო ისაა, რომ ამ მცირე პერიოდის განმავლობაში მოსახლეობამ უკვე დაინტერესი გაისახება. სასიხარულო ისაა, რამ ამ ყოველივეთი, რაც სოფლის დემოგრაფიაზეც დადგებითად აისახება: ახალგაზრდები აღარ ეცდებიან ქალაქში სამსახურის გამო ოჯახით გადაბარებას. ვფიქრობ, სოფელი ერთი საქმით დაკავდება და ბევრი ახალგაზრდა დარჩება მშობლიურ კერაზე. გარდა რძისა, უკვე ვაწარმოებთ იმერულ ყველს და მომავალში ვაპირებთ არაუნის ჩამოსხმას. როგორც კი მუშახელი დახელოვნდება, რძის პროდუქციის ფართო ასორტიმენტი გვექნება. პროდუქცია ბათუმის ბაზარზე გაგვაქვს, ასევე ზუგდიდიდან მივიღეთ შეკვეთა. ნალექში ჩვენს პროდუქციას ყველა იცნობს, შესამაბისად გასაღების მხრივ პრობლემა არ შევექმნება. სიმართლე გითხათ, ამ ეტაპისთვის იმაზე კარგი შედეგი გვაქვს, ვიდრე ველოდებოდით, უკვე დღეში 10 ტონამდე რძეს ვლებულობთ, სამომავლოდ კი ეს მაჩვენებელი 20-25 ტონამდე გაიზრდება.



იყო ეს ფაქტი. სიმართლე გითხათ, არც მეგონა ასეთ დონეზე თუ ჩატარდებოდა. აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრო დამიკავშირდა, „განდაგანა ფესტივალში“ მქონდა მონაწილეობა მიღებული და ალბათ, ამიტომ გადაწყვიტეს ჩემი ნარდეგნა. პროდუქციაზე მოთხოვნა ძალიან მაღალი იყო. ნალებული მქონდა სულგუნი, შუშნილა და დანწილი ყველი. შუშნილაზე განსაკუთრებით დიდი მოთხოვნა იყო, ძველი რეცეპტით მქონდა დამზადებული და ნახევარ საათში სულ გაიყიდა. საერთო ჯამში, 2 დღისთვის ნალებული პროდუქტი ერთ დღეში აღარ მქონდა. მსგავსი ფესტივალში აუცილებლია, ამით ფერმერიც გარკვეულ სარგებელს იღებს და ეცნობა სხვადასხვა პროდუქციას. მოხარული ვარ, რომ დამიკავშირდნენ და მომეცა შანსი ჩემ მიერ ნარმობული პროდუქცია მსგავს მასშტაბებზე გამეტანა.

## „ნაცასიური ყველის ფესტივალი 2015“ სარჩევი ჩატარდა

დასაცისი აირველ გვერდზე



ბოლო წლებია, რაც ქართული ყველით დაინტერესება გაიზარდა და მის საჩვენებლად არა ერთი ფესტივალი მოეწყო. ამ ფესტივალებმა ერთი მხრივ დაამსხვირეს ის მოსაზრება, რომ ქართული ყველის მხოლოდ ოთხი სახეობა არსებობს და მეორე მხრივ – თითოეული კუთხის პროდუქტი გააცნეს ქვეყნას. ეს ყოველივე ქართული ყველის პოპულარიზაციასა და საუკუნეების მანძილზე დაკარგული სახეობების აღორძინებას ემსახურება. მსგავსი ღონისძიებების მეშვეობით, გასულ

წელს საქართველოს კულტურული მემკიდრეობის დაცვის სააგენტომ „დამბალი ხაჭო“ კულტურულ ძეგლად აღიარა.

წელს თბილისში, სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და საქართველოს ყველის მნარმოებელთა გილდიის ინიციატივით „კავკასიური ყველის“ ორდლიანი ფესტივალი გაიმართა, რომელიც პირველი საერთაშორისო ფესტივალი იყო კავკასიის მასშტაბით. მასში მონაწილეობა მიიღო ქვეყნის ყველა რეგიონმა, მათ შორის აჭარამაც. იყვნენ, როგორც ინდივიდუალური მნარმოებლები, ასევე მსხვილი სახეობები. გარდა ქართველებისა, ფესტივალს სტუმრობდნენ სოხეთიდან, აზერბაიჯანიდან, თურქეთიდან და ჩრდილოეთ კავკასიიდან.

ორგანიზაციის განცხადებით ფესტივალზე ქართული ყველის დაახლოებით 60-მდე სახეობა იყო ნარმოდგენილი, მათ შორის: დამბალი ხაჭო, მუჩლი, გუდა, ჩლეჩილი, ჩოგი, ტენილი, ნარჩივი, ლაგუჯიში, სულგუნი და სხვა.

აჭარის მთიანეთიდან, აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ სტუმრებს ყველის რამდენიმე სახეობა შესთავაზა, მათ შორის: დაწული ყველი, იალის და კამბალი.

**დარიკო აბაშიძე (ფესტივალის მონაწილე აჭარიდან):** პირველად მივიღე მონაწილეობა ასეთ მასშტაბურ ფესტივალში. მე არ მაქვს საწარმო, ან რაიმე კომპანია, ინდივიდუალური მენარმე ვარ, ოჯახის პირბებში ვამზადებ, ამიტომ ჩემთვის მოულოდნელი.



აგრძელება „აგრძელების ცენტრისაგან“

## ზოგი რამ ლიმანის შესახებ



ლიმონი საქართველოში ჩინეთი-დან და იაპონიიდან მე-18 საუკუნეები შემოიტანეს. ჩვენში გავრცელებული ადგილობრივი ჯიშებია: ქართული, დიოსკურია, ულარნიკი, ხოლო ინტროდუცირებული ჯიშებია: ვილაფრასკა, ლისშონი, კომუნე, ევრიკა, ჯენუა და მეორი. ეს ციტრუსი, ნაკლები ყინვაგამძლეობით გამორიჩევა მისი ფოთლები და ნაზი ყლორტები ვერ უძლებს  $4^{\circ}\text{C}$ - $5^{\circ}\text{C}$  ყინვასაც კი, ხოლო  $7^{\circ}\text{C}$ -ზე მცენარე მთლიანად იყინება. კვებითი ლირებულებების მიხედვით, სხვა ციტრუსებთან შედარებით, ლიმონი უფრო მდიდარია. მისი მნიშვნელის პერიოდი გახანგრძლივებულია. ის ყვავილობს ზამთრის პერიოდშიც, ნაყოფი კი გაზაფხულზეც აქვს და ზაფხულშიც. ლიმონი მარადმნვანე პატარა ზომის ხეა 3-5 მეტრი სიმაღლის.

ის ითვლება ძევირფას სამკურნალო და გამაცოცხლებელ ნაყოფად ავადმყოფებისათვის, რადგან სხვა ციტრუსებთან შედარებით უფრო მდიდარია C ვიტამინითა და ორგანული მჟავებით. გამოიყენება პარფიუმერიაში, მედიცინაში, გამაგრილებელი წყლების წარმოებაში და ა. შ. გააჩნია ძლიერი ანტიბიოტიკური თვისებები.

**დარგვა** და **ნიადაგის** **საფარის**  
**მოვლა:** ლიმონი შემოდგომით და  
გაზაფხულზე ირგვება, 15 ნოემ-  
ბრიდან – თვის ბოლომდე და,  
მარტის შუა რიცხვებიდან – აპრ-  
ილის შუა რიცხვებამდე. ამ დროს  
მცენარე იმყოფება ნახევრად მთ-  
ვლემარე მდგომარეობაში და მარ-  
ტივად ეგუება გადარგვის პრო-  
ცესს. დარგვისას აუცილებელია,  
ნერგს მოაშოროთ ზედმეტი ფეს-  
ვები. ორმო დაახლოებით ნახევარ  
მეტრ სიღრმეზე უნდა ამოიღოთ  
და შეიტანოთ სასუქები. მიუხე-  
დავად ამინდისა, ახალდარგული  
ნერგი უნდა მოვრწყათ. ლიმონის  
ბალის ნიადაგი ინტენსიურ მოვლას  
საჭიროებს, გადამწვარი ნაკელი  
ნელინადში ერთხელ გაზაფხულზე  
შეაქვთ, რადგან მცენარეს ფესვე-  
ბი ნიადაგის ზედაპირთან ახლოს  
აქვს. მიწის გაფხვიერება გაზაფხ-  
ულზე ხდება, მარტიდან აპირლის

შუა რიცხვებამდე. დაზიანების თავიდან ასაცილებლად ნერგი შორიდან უნდა შემოიბაროს. აუცილებელია მცენარეს ირგვლივ მოვა შორით ბალახი. სასურველია თუ მოქრილ ბალახს იქვე დატოვებთ - ამით მცენარეს ტენიანობას შეუნარჩუნებთ. მისი ნაკლებად ყინვაგამძლეობიდან გამომდინარე აუცილებელია, ლიმონის ნარგავები ზამთარში შეფუთოთ.

**ნაყოფის მოკრეფა და შენახვა:** ლიმონის ნაყოფი ფრთხილად სპეციალური მაქრატლის მეშვეობით უნდა მოიკრიფოს. მაშინ, როცა მისთვის დამახასიათებელი სიყვითლის ფერი 70-80 პროცენტს მიაღწევს. ის კარგად ინახება პლუს  $3^{\circ}\text{C}$ - $5^{\circ}\text{C}$ -ზე. სამაცივრო დანადგარებში ნედლეულს საშუალოდ  $40$ - $50$  დღე ინახავენ. ყვითელი კანის შეფერილობის ლიმონი  $+2^{\circ}\text{C}$ -დან  $+30^{\circ}\text{C}$  ტემპერატურამდე  $85$ - $90$  ტენიანობის პირობებში ინახება; ლია ყვითელი და ლია მწვანე  $+4^{\circ}\text{C}$ -დან  $+50^{\circ}\text{C}$  ტემპერატურამდე,  $85$ - $90$  ტენიანობის პირობებში, ხოლო მუქი მწვანე ნაყოფი  $+6^{\circ}\text{C}$ -დან  $+8^{\circ}\text{C}$  ტემპერატურაზე  $85$ - $90$  ტენიანობის პირობებში. დასავლეთ საქართველოში ლიმონის ნაყოფი იანვრამდე მწიფდება და კრეფის პერიოდი ნოემბრიდან იანვრამდე გრძელდება. მისი შენახვა სპეციალურ ხის ყუთებშია

შესაძლებელი. შენახვისას ნაყოფს სოკოვანი დაავადებები რომ არ განუვითარდეს, ადგილი, სადაც ინახავთ, უნდა შენამღლოთ 3%-იანი კირით ან 2-3 ფორმალინის ხსნარით.

မავნეော်လှိုင် დაავადებები და  
მათ წინააღმდეგ ბრძოლა: ლიმონს  
აზიანებს ფრთათეთრები, ცრუ-  
ფარიანები, ფარიანები და ტკიბე-  
ბი. ამ კულტურისთვის ყველაზე  
მეტად საშიში დაავადებაა „ლიმო-  
ნის ხმელა“, ანუ „მალსეკო“. მისი  
აღმოჩენის შემთხვევაში, თუ სას-  
წრაფოდ არ იქნა მიღებული პრე-  
ვენციული ზომები, შესაძლებე-  
ლია, მთელი ბალი განადგურდეს.  
მალსეკოთი დაავადებული ხე უნდა  
ამოიღოთ, გაიტანოთ საკარმიდა-  
მო ნაკვეთის გარეთ და დაწვათ. ამ  
დაავადებას ლიმონის ჯიშებიდან  
მხოლოდ „მეიერი“ უძლებს. ადრე  
გაზაფხულზე, სანამ შევა ვეგეტა-  
ციაში მცენარე, უნდა ჩატარდეს  
კომბინირებული ნაზავით წამლო-  
ბა: ფოსფორორგანული პრეპარა-  
ტით, სპილენძის შემცველი რო-  
მელიმე ფუმბიცინდით და ეგრეთ-  
წოდებული „დელფინის საპნით“,  
ანუ მინერალური ზეთის ემულ-  
სით. ეს წამლობა ყველა მავნებ-  
ლის გავრცელებას 15-20%-მდე  
ამცირებს. ყვავილობის შემდეგ  
ბალს უნდა ჩაუტარდეს წამლობი-  
თი ლონისძიება საჭიროებისამებრ.

# სასოფლო-სამეურნეო ტაქნიკის სარგებლობის მომსახურების აუდიტის მიზანი

დასაცურსი პირველ გვერდზე

- სამწუხაროდ, უნდა აღინიშნოს, რომ  
აჭარაში ჯერ კიდევ დაბალია სოფლის საქონ-  
ელმწარმოებელთა ტექნიკური სერვისის  
ხარისხი. მიუხედავად იმისა, რომ ბოლო პერი-  
ოდში ჩვენთან შემოტანილია მაღალი ხარისხ-  
ის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, ჯერ კიდევ  
ვერ იქნა დაძლეული კრიზისული მდგომარეო-  
ბა აგრარული სექტორის ტექნიკით უზრუნვე-  
ლყოფაში, რის გამოც სიძნელეებს განიცდიან  
ახლად ჩამოყალიბებული კოოპერაციული და  
ფერმერული მეურნეობები.

აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს „აგროსერვის ცენტრმა”, ბათუმის შოთა რუს-თაველის სახელობის სახელმწიფო უნივერ-სიტეტთან ერთად, დაიწყო სამეცნიერო-კვ-ლევითი და საკონსტრუქციო ტექნოლოგიური სამუშაოები აჭარაში სასოფლო-სამეურნეო ტე-ქნიკის სერვისცენტრების ჩამოსაყალიბებლად. ამისთვის საჭიროა, მოხდეს აჭარის რეგიონში არსებული ყველა სახის (როგორც მობილუ-რი ისე მცირე მექანზაციის) ტექნიკის ინვენ-ტარიზაცია, დადგინდეს მათი გამოყენების პირობები და თავისებურებები, გამოვლინდეს ნამუშევარი მტყუნებაზე, მტყუნების სახე, მიზეზი და მის აღმოფხვრაზე საჭირო დრო, ყველაზე ნაკლებად საიმედო კვანძები და ინ-ტენსიურად ცვეთადი დეტალები, მათი მაქსი-მალური ცვეთა და სხვა მონაკვემები.

მიღებული მონაცემების შედეგად, აჭარაში დამუშავდება სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სერვისის საწარმოების რაციონალური განლაგების დასაბუთების მეთოდით, შეირჩევა სერვისული ობიექტების სახე და ოპტიმალური ფორმები, განისაზღვრება კონკრეტულ რაიონში სერვისული საწარმოების რაოდენობა, მათ შორის მანძილები, ტექნიკის წონა და მათ გადაზიდვაზე საჭირო მუშაობა. ასევე, საჭიროა, ჩატარდეს სამეცნიერო-კვლევითი და საკონსტრუქტორო-ტექნოლოგიური სამუშაოები ახალი, ინოვაციური ტექნოლოგიებისა და მოწყობილობების დამუშავებისთვის, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გაცვეთილი დეტალების აღდგენისათვის. მიგვაჩინა, რომ განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს რესურსსა და ენერგიადამზიდვის ტექნოლოგიურ პროცესებზე. უნდა აღინიშნოს, რომ ამ მიმართულებით აჭარაში ცოტაა ანალოგიური სახის სამეცნიერო-კვლევითი სამუშაოები ჩატარებული, რის გამოც ფერმერები და კერძო მეწარმეები მცირე ზომისა და ადვილად აღსადგენი დეტალების მტყუნების შემთხვევაში, იძულებულნი არიან, შეიძინონ ისინი ბაზარზე მაღალ ფასებში ან მიმართონ დამაზადებელ ქარხნებს, რაც ინვესტიციების მნიშვნელოვან მოცულებებს სასოფლო-სამეურნეო ოპერაციების შესრულების დროს.

„କର୍ମଚାରୀଙ୍କରେ ପ୍ରସତିରେ  
ଏ ଉଦ୍‌ଦେଶ୍ୟରେ କାହାରେ  
ନିର୍ଭବିତରିତିରେ, ଯାକରାକାହିଁ  
ଥିବାରେଣ୍ଟିରେ କ୍ଷୁଦ୍ରାକଳାତ

დაუსწიეთ პირველ გვერდზე

ტრენინგი, რომელიც ისრაელის საელჩოს  
მიერ „მაშავის“ პროგრამის ფარგლებში დაფ-  
ინანსდა, საქართველოში სასათბურე მეურნეო-  
ბების განვითარების ხელშეწყობას, მესათბურე  
ფერმერებისა და მენარმერების განათლების დო-  
ნის, ამაოლობას, ისახავთ მიზნათ.

„სასათბურე მეურნეობების განვითარება ჩვენთან ბოლო რამდენიმე წელია დაიწყო. შესაბამისად, ფერმერებს ნაკლები გამოცდილება და ცოდნა აქვთ ამ მიმართულებით. ჩვენი მიზანი კი მათვის ისეთი ნარმატებული ქვეყნების გამოცდილების გაზიარებაა, როგორიცაა ისრაელი. ამ მიზნით დაიგეგმა და ჩატარდა ტრენინგი „აგროსერვის ცეტრში“, რომელიც საინტერესო და ინფორმაციული გამოვიდა. ფერმერები იყვნენ ჩამოსულები აჭარის კულტ მუნიციპალიტეტიდან და განსაკუთრებული აქტივობით გამოიჩინდნენ. ისინი ძალიან მოტივირებულები და დაინტერესებულები ჩანდნენ და ცდილობდნენ, რაც შეიძლება მეტი დეტალური ინფორმაცია მიეღოთ მარწყვისა და ბულგარული წინაკის სასათბურე პირობებში მოვლა-მოყვანასთან და ხარისხიანი პროდუქციის წარმოებასთან დაკავშირებით. ჩვენ ვაპირებთ თანამშრომლობის გაგრძელებას ისრაელის საელჩოსთან და მიზნად ვისახავთ მსგავსი პრაქტიკული ტრენინგების მომავალ წელსაც ჩატარებას,“ – განაცხადა „აგროსერვის ცენტრის“ დირექტორმა გოჩა ბერიძემ.

მისამართი: გვ. 100, ქ. ბათუმი  
მობილური ტელ. +995 592 100 929  
ელ. ფოსტა: agroservice.centre@yahoo.com

